ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 398. კვირა, 11 სექტემბერი 1911 წ. დამატების № 70

ორი ძალა

(დასასრული *)

ბეკო აღამაღლებს ხმას. მისი სიტყვები ჰაერს არხევს და ზარის ხმასავით მსმენელთა გულის სიმს ჩამოჰკრავს.

— ჩემი თხოვნა, მეუფეო!.. ვინ იტყვის ბეკოს სიტყვას არ გაუჭრიაო? ვინ იტყვის, ღვთის, და ხატის სამსახურმა ბეკოს ამაოდ ჩაუარაო? წმიდაო მეომარო! ამ წისქვილის დამწველი შეწალე ჭკუაზე! ააბარგე იგი სახლიდან, თავის კარიდან და დააყენე უცნობსა და უშარო გზაზე! აფიქრებინე, თითქო იგი მოსე წინასწარმეტყველია და უდაბნოსა შინა მიემართება წინამძღვრად ხალხისა. მიეც ხელში მას უბრალო ჯოხი, მაგრამ შთააგონე, თითქო ეჭიროს წინასწარმეტყველის სასწაულ-მომქმედი კვერთხი! მიიყვანე იგი ამ სახით მდინარესთან, ჩქართან და ფაფარ აყრილთან! მოაჩვენე იგი მას ზღვამეწამულად, რომ მივიდეს და დაჰკრას მის ზედაპირს ჯოხი თვისი გასაპობელად და მდინარის ფსკერზე გასასვლელად! მოაჩვენე, რომ ზღვა გაირღვა და შეადგმევინე ფეხი მდინარე წყალში!.. მაშინ მოიტაცოს იგი მდინარემ, ჩაიყოლოს და კლდეს მიახეთქოს იგი!..

— ჰაჰაჰ!—გაისმა ჯვებეს ამოყვირილი. ის ამდგარიყო, ვერ მოეთმინა ბეკოს სიტყვები და ტყვია ნაკრავივით გაჰკიოდა.

— საშინელია! ნამეტანია!—გაისმა აქა-იქ ხალხში.

— ჩაჩუმეთ გიჟი!—ბრძანა მნათემ.

— მერე მირიყოს იგი სადმე უკაცურს ნაპირზე სვავ-ყორანთა...

— ჰაუ! მიშველეთ!—კვლავ დაიგმინა ჯვებემ.

— ჩაჩუმდი, ჯვებე! არ შეიძლება!

ბიბლიოთეკისა და თეატრის შნობის გამგენი. სოფელ ბოდბისხეში.

— ბეკო! ბეკო!.. ბეკო!—და ამ სიტყვებით ჯვებე გადაეხვია ბეკოს.

ბეკოსაც აუჩვილდა. თვალები აეცრემლდა ხელი მიჰხვია ჯვებეს.

— ბეკო!.. შენი ?.. რათა... რათა!!—ამბობდა ნაწყვეტ ნაწყვეტად ჯ[illegible] ეკვრებოდა ბეკოს.

მთელი ხალხი იწ[illegible]თი ცოდვით.

**

მას შემდეგ ერთ[illegible] გავიდა ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველ დღე ელ[illegible]სწაულს. მუდამ ვედრებასა და ლოცვაში იყო.

ჯვებე მოჰშორ[illegible]ის ქოხს. ის ოც დღეზე მეტია, რაც არ დაბრუნებულ[illegible] უიმისოდ ვერა სძლებს. ხში-

მაგრამ ჯვებე არა სცხრებოდა. ის იხევდა ტანსაცმელს, იხოდა სახეს, გმინავდა, კიოდა!

ბეკომ მაინც დაასრულა სიტყვა. ხელში აიღო ხატის წინდადებული ლურსმანი და შეასო ხეს. შემდეგ მეხლი მოიარა და ემთხვია ხატის წინ მიწას.

— ამინ!—დაასრულა მნათემ.

ხალხი კი სდუმდა. ის გაბრუებული იყო ბეკოს სიტყვა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ დამნაშავე ვერ ასცებოდა სასჯელს და ბეკოს სიტყვები აღსრულდებოდა.

ბეკოს მიწყნარების შემდეგ, ხალხის ყურში ისმოდა გალოს კილოთი წარმოთქმული წყევა.

გვერდზე რამდენიმე კაცი აკავებდა ჯვებეს, რომელიც ხისკენ მიიწეოდა თავის შესახეთქებლად. [illegible] შეიცილა ბეკოც.

— ჯვებე! ჯვებე! აწი არა გვიჭირს!

ბეკოს დანახვაზე ჯვებემ მისკენ მიიწია.

— ბეკო... შენი ჭირიმე... რათა? რათა?—და ჩჩვილი ბავშვივით ლაპალუპით წამოსკდა ჯვებეს ცრემლები.

— რათა? რათა?—საცოდავად ცრემლიანი ამბობდა ჯვებე.

— წამო ჩემთან, ჩემო ჯვებე! ნუ გეშინია! უფალი მოგვხედავს! მოდი ხატთან...

გუთანი და მოტორი
უკანიდან გადაღებული.

რად ტყეში დაიარება, რომ შემთხვევით მაინც შეჰხვედრო-და ჯვებეს და დაებრუნებინა იგი თავის უპატრონო ოხს და შეელოცნა მისთვის.

ყოველს საღამოს ბეკო თავის ლიფნის ხის ძირში ტა-რებს. ხან-და-ხან მთელს ღამეს ტყეში ათენს, მაგრამ ლნდს წინანდებულად ვერა ჰხედავს; წისქვილის დაწვის შედეგ თითქო გაჰქრა ლანდი, სადღაც გადაიკარგა.

ბეკო საგონებელშია. ბეკო ჯავრითა დნება.

— სად არის ჯვებე მაინც! სად არის? იქნება შია, სწყურია!!

ერთს დილას, როცა ბეკო ჯვებეს ქოხის წინ ლოცუ-ლობდა, მოიჭრა ჯავშე ლალამჯილი, სახე გასისხლანე-ბული.

— ჯვებე! ჩემო, ჯვებე!.. მოდი? არ დაიკარგე?-მიე-გება მას ბეკო.—არ გრცხვენია, რომ დამტოვე? სად ყავი, შე უბედურო? ეს რა დაგმართნია?

— ბეკო! ბატონო, ბეკო!!—ჯვებე დაეცემა მუხლებზე ბეკოს წინ, უკოცნის ხელებს, მუხლებს.

— ჯვებე, ნუ, ნუ! ადექი!.. შენ-თვის საჭმელი მაქვს. შემოდი შენს სახ ლში, დაისვენე!

— მერე, მერე, ბეკო!—და ბეკოს მიაჩერდება ჯვებე.

— რა იყო, ჯვებე? როგორ ხარ ახლა?

— წამოიყვანე დღეს იქ... იმ ხატ-თან... გამომილოცე!

— ჰო, მადლობა უფალს, რომ ჩა-გაგონა ასეთი აზრი! მადლობა უფალს!

მორჩენილხარ! განკურნებულხარ! მოუხედავს წმ. გიორგის!

— ჰო, ბეკო! ჰო, ბეკო!!

— წავიდეთ! წავიდეთ!.. მაგრამ ჯერ დაისვენე, ჩაიცვი, ჭამე!..

— არა, ბეკო! დღეს... ახლა... შენი ჭირიმე! არ შე-მიძლია!

— კარგი, შვილო!.. მაშ... ჩავიცვამ, გამოვეწყვები! საგძალს დავამზადებ!

— არა... ბეკო! ახლავე! ახლავე!

— მაშ, კარგი! ცოტა მომიცდე!

ბეკოს აკვირვებს ჯვებეს მოუთმენლობა, მაგრამ ამას ხატის ჩაგონებით ჰასნის.

შედის ქოხში და იცვამს.

ჯვებე კი მანამდის პირაღმა დაწვება მინდორზე.

რა კარგია მისი ეზო! რამდენი ხანია აღარ უნახავს იგი?

— ჯვებე! პურის ლუკმა მაინც შეჭამე! მოგშივდება!

— არ მინდა!.. მალე, მალე! იქ... იქ...

გამოდის ბეკოც. ჯვებე ადგება.

— მაშ, ჩემო ჯვებე, რა კარგია რომ მოდიხარ? ეს იცოდე, ჩემმა ლოცვამ გასჭრა! შეისმინა ჩემი ვედრება უფალმა!

— კი... კი, ბეკო!

ამ ლაპარაკით წამოვლენ ისინი. ეზო ღობეზე გადა-სვლისას ჯვებე მოსტეხს გამხმარს წნელს, ამოიდებს იღლია-ში და გამოჰყვება ბეკოს.

ბეკო მიდის და თან მადლობას უძღვნის ზეცას, რათა მან ისმინა მისი სიტყვები და ერთი განწირული და უბედუ-რი შეიწყალა, შეიბრალა!

მზემ მხოლოდ ახლა გადმოიხედა მთებიდან. დილის ბინდი კიდე არ იყო გაფანტული მის ბრწყინვალე სხივებით.

ბეკო სასოფლო გზას დაადგა. მაგრამ ჯვებემ უფრო მოკლე გზით აირჩია სიარული. მათ შეუხვიეს ხეივანში, იქი-დან ტყეში. მალე მინდორზე გამოვიდნენ.

— ასე უფრო მალე იქნება! უფრო მალე!

ბეკო ფიქრობს, რომ წმ. გიორგი აგონებს ჯვებეს, რომ ანგელოზი ასწავლის ჯვებეს მოკლე გზას და უჯერებს, მა-სი ჩვენებით მიდის.

მალე დასტოვეს თავისი სოფელი და მოსაზღვრე სო-ფელში შევიდნენ, სადაც გადის მთის მდინარე, დიდი, ღრმა და ჩქარი. ფონი არა აქვს ამ ადგილებში მდინარეს და ნა-ვებით გადიან.

შორიდან მოესმათ მდინარის ხმა.

„მოიტაცოს იგი, ჩაიყოლიოს და კლდეს ახეთქოს!“—გაურბინა თავში ჯვებეს.

— ჰა, მდინარე! ჩქარი, ფაფარ აყრილი!—მიმართა მან ბეკოს.

სოფ. ბოდბისხევის ბიბლიოთეკისა და თეატრის ახალ შენობის კურთხევის დღეს.

— ხო, ნავით გადაგვიყვანენ!

-— ხო, ნავით!..

მიუახლოვდნენ მდინარეს. ბლაოდა იგი და ხან ერთს ნაპირს, ეხეთქებოდა ხან მეორეს, თითქო კალაპოტიდან უნდოდა ამოვარდნა.

— ჰა, ზღვა! ზღვა, ბეკო!..

— ჯვებე!!

ჯვებეს თვალები აენთო. ის გიჟურის გამომეტყველე-



ნავთის მოტორი გუთნისათვის, წინიდან გადაღებული.

ბით უმზერს მდინარეს. თვალს არ აცილებს ტალღების სრბოლვას.

ბეკოს შეეშინდა ჯვებეს ასეთი გამოხედვისა.

— ჯვებე, გამომყე მე!—უთხრა მან და ფეხს აუჩქარა, რომ ნავთან მალე მისულიყო.

ჯვებე ქშინავდა. ნაბიჯს უკლებდა და მდინარისკენ მიიწევდა. ჯოხს ატრიალებდა.

ბუტბუტებდა, ცახცახებდა.

— ბეკო, ზღვა! ზღვა!!

ბეკოს საშიშმა აჩრმა გაუელვა თავში. შეჩერდა. შეხედა ჯვებეს.

— ბეკო! ზღვა!.. წითელი ზღვა!—იძახის აკზნებული. ჯვებე!

— ჯვებე!!

— მოიტაცოს იგი მდინარემ, ჩაიყოლიოს და კლდეს ახეთქოს!!—

დაიკივლა ჯვებემ და გაექანა მდინარისკენ.

— ჯვებე, ცოდვის შვილო! რას ჩადიხარ!?

— გაიპე! გაიპე!—შეჰყვირებს ჯვებე, მდინარის ზედაპირზე ჯოხს დაჰკრავს და თითონ წყალში გადაეშვება.

— ბეკო ვერ მოასწრებს მის დაკავებას. იგი მხოლოდ მივარდება იმ ადგილს...

— ჯვებე მეთქი! ჰა!..—დაუყვირებს.

მაგრამ მდინარე მოიტაცებს ჯვებეს და დამალავს.

ნაპირის გაყოლებაზე გასდევს ბეკო მდინარეს და ჰკივის:

— ჰარიქა! ვინ ხარ! მიშველეთ!! ჰა... ჰაუ! ვინ ხარ?!!

ერთს ადგილას, ნაპირთან ახლო, ამოაგდო ჯვებე მდინარემ. ბეკომ მოჰკრა მას თვალი და წაიწია მისკენ. ვერ მისწვდა. პატარა ქვემოდ კვლავ ამოაგდო ჯვებე წყალმა. მაშინ ბეკომ შეიწია წყალში. ხელები გაუწოდა გადადგა წინ ნაბიჯი, ფეხები გამოაცალა.

— ჯვებე!—ძლივს მოასწრო მან თქმა, რომ მძლავრმა მდინარეობამ გაიტაცა და თავის სიღრმეში დამალა...

მდინარე კვლავ ღმუის... არავინ გამოჩნდა, რომ თვალი მოეკრა უბედურებისათვის და სოფლისთვის მაინც ეუწყებინა...

ლეო ქიაჩელი.

უსქესო ვენერა

(ოლა ჰანსონისა *)

ამ რამდენიმე წლის წინად ჩემ ნაცნობებთან ერთად შინა ვბრუნდებოდი.

თენდებოდა. ჩუმი და ცარიელი ქუჩები ლურჯ, ბუნდოვან, სინათლეში მრავალ ტოტებად იფანტებოდა. აქა-იქ ხალხს უკვე გაჰღვიძებოდა. სარკმელებში შუქი მოსჩანდა და ბუხრებიდან ბოლი ამოდიოდა. ხეებით მოცულ ერთს ტრიალ ადგილს გაველით. ცა ბაც-მწვანე აბრეშუმსა ჰგავდა. ხის ტოტები შავ ბადესავით გადაშლილ მთისკენ მიიწევდა და ეს სურათი ადამიანს უნებურად იაპონურ გაპრიალებულ ნივთებს აგონებდა. აღმოსავლეთით ალის ფერი დილა დგებოდა. ჩვენ ხელ-ახლად ქუჩებში გაველით. ფეხის ხმა დილის სიჩუმეს ღრმად ერეოდა. მკაცრი ყინვა იდგა, ყურები გვეწოდა. ხელები გვეთოშებოდა. წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვედო, ამიტომ მოგვინდა გავმთბარიყავით. ყავ-ხანები დაკეტილი იყო და თითო ჭიქა პორტერის დასალევათ ერთ ქალთან შეველით. მას მხოლოდ ერთი ჩვენგანი იცნობდა.

ეხლაც მახსოვს, ის რომ პერანგისა და ქვედა-კაბის ამარა სარკმელთან იდგა და ფარდებს უშვებდა. თვალში ერთბაშად მეცა, რომ მთელ მის არსებიდან, მისი ტანის ყოველ ნაკვთიდან მძლავრად იცქირებოდა ის რაღაც ქალური, რაც ერთ ქალს მეორისაგან ისე ძლიერ ასხვავებს. ამ რაღაცის მეოხებით ქალები ისე ერჩევიან ერთმანეთში, როგორც ყალბი ალმასი ნამდვილში. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ეს რაღაცა მის სხეულს მოჰშორებია და სხივოსან ციმციმით გარს შემოჰხვევია მეთქი.

ქალმა სანთელი აანთო და პორტერი მოგვიტანა, ქალი მოსული, ქერა გოგო იყო. ლამაზი ტანი არა ჰქონდა, მაგრამ კარგად იყო ჩასხმული. იგი ერთი იმათგანი იყო, ვინც ბაღნების წიაღში, ახალ მარცვლიდან რბილ და ნოყიერ ნიადაგზეა ამოსული. როცა მას მივუახლოვდი, ისეთი სუნი მეცა, თითქოს სურნელოვანი და ახლად მოწველილი რძე ყოფილიყოს.

იმან იმ ღონიერ ქალის სურნელოვანება შემომაფრქვია, რომელსაც ქალწულობის ბორკილები ეს არის ეხლა დაუმსხვრევია.

მე ხშირ-ხშირად დავიწყე მასთან სიარული და თანდათანობით მისი ყოველდღიური სტუმარი გავხდი. ბოლოს სულაც წავიყვანე.

მთელი წელიწადი ვცხოვრობდით ერთად. კარგი ქალი იყო: წყნარი, გამგონე. თვის გარშემო იგი ალერსსა და

ამერიკულ ვაზის ნამყენთა საცდელი ვენახი. სოფ. ხაშმში (გარე-კახეთი).

*) ოლა ჰანსონს ჩვენი საზოგადოება არ იცნობს, თუმცა მას დასავლეთის კრიტიკა უკვე აფასებს კიდეც.

ფშიბიშევსკიმ ერთი კრიტიკული წერილი უძღვნა; ეს წერილი ხელ-აღებით ქებათა-ქებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუუდროებას ავრცელებდა. გუნებაზედაც მუდამ ერთნაირზე იყო, ისეთზე როგორც მის მაგვარ ქალებსა აქვთ ხოლმე. მაგრამ ყველაზე ძალიან მისი არაჩვეულებრივი სიფაქიზე მაკვირვებდა. კმაყოფილი და დამშვიდებული ვიყავ და კარგად ვცხოვრობდით.

მაგრამ საში ისეთი რამ იყო, რაც ადამიანს თვალში ეჩხირებოდა, რაც მთელ მის სულიერ და ფიზიკურ განვითარებას არ ეგუებოდა. მისი სქესობრივი ცხოვრება მოძკვდარს, ჩამქრალსა ჰგავდა. როგორ მოხდა, რომ ეს ყვავილი ამისთანა მდიდარ ნიადაგს ვერ შეეთვისა? იქნებ იგი ფესვებიანად იყო ძალად ამოგლეჯილი?

მერე და ეს როდის მოხდა?

მას რომ შევხვდი, მხოლოდ რამდენიმე კვირის გამეძავებული იყო და მიზეზი ეს არ იქნებოდა.

ხანდახან, როცა სიბნელესა და ღამის სიჩუმეში ერთმანეთ მიკრულნი ვიწექით, ჩემი, ყველაფერზე ფხიზელი, მაგრამ ძლივს მოელვარე გრძნობა ჰხედავდა, რომ ამ ქალის სულის სიღრმეში ცეცხლის გამონაშუქი ჰფეიქავდა. ეს გამონაშუქი ალად ქცევასა ჰლამობდა, მაგრამ მალე ჰქრებოდა, ისე, თითქოს ნაპერწკალი სველ ხელს მოხვდაო. და ვგრძნობდი, რომ ჩემ გვერდით მწოლარე არსების შიგნით, სადღაც შორს ავადმყოფ ბავშვსავით რაღაც ჰკვნესოდა. მაგრამ აზრი მობერვასავით წუთიერი იყო და სურათი მსწრაფლ ჰქრებოდა. საყვარლის ადგილას, ქალი დინჯად და მექანიკურად მნებდებოდა. დასაფარავი ჩვენი შეერთებაც კი, მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არ ყოველ-დღიური, წვრილმანი ზრუნვა. ამ შეერთებაშიაც მას თავისებური გონიერება შეჰქონდა და მეგონა, რომ იგი მეტს ვერას მომცემდა.



ახლად დაქორწილებულნი

მისი უმაღლესობა კნეინა ტატიანა კონსტანტინეს ასული
მის უმაღლესობის დიდ მთავრის **კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ასული.**

მისი მეუღლე თავადი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

იმ ქალაქს რამდენიმე წლით თავი დავანებე. ქალის სახე ჩემ წარმოდგენაში ნელ-ნელა ჩაბნელდა. მაგრამ, როცა კვლავ დაუბრუნდი და ნაცნობ ქუჩებსა, ბაზრებსა და ბულვარებზე ხეტიალი კვლავ დავიწყე, როცა ძველნი ნაცნობნი, სახლები და წარწერები დავინახე, მაშინ იმ ქალის სახის ნაკვთები ჩემს ხსოვნაში ისევ აღსდგნენ, ნელა ისე, როგორც ბუნების სურათი გამოჩნდება ხოლმე ნისლის დაშლის დროს. ვიკითხე იმ ქალის ამბავი და გავიგე, რომ იგი ძველებურად მეძაობდა. მოვნახე, ისევ ისეთი იყო. თითქოს მისთვის ამ განვლილ დიდ დროს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იმ მოკლე საათებს, რომლებსაც იგი ან ქუჩაში, ან თავის ოთახის მორთვაში ატარებდა. მას არ ეტყობოდა არც მოწყენილი დაღლილობა, რაც მის ამხანაგებისათვის ჩვეულებრივია, არც ბედისადმი ბრძნული მორჩილება, მორჩილება მტანჯველი, მაგრამ აუცილებელი. ძველებურად მშვიდი და კმაყოფილი იყო. ისეთივე მსჯელობანი და დაკვირვებული. მას მხოლოდ ერთი რამ ჰსურდა: მისი სტუმრები მას და მის ოთახს რიგიანად მოჰქცეოდნენ. დანარჩენი მისთვის ყველაფერი ბუნებრივი და გასაგები იყო...

ამაში რაღაც გამოცანა იყო.

როგორ მოხდა, რომ ნიადაგისადმი გულგრილობაზე მერე იმ ნიადაგისადმი, რომელზედაც ადამიანის საუკეთესო მხარე იზრდება, ნაყოფზე არ იმოქმედა?..

ეს ხშირად მიკითხავს ჩემი თავისათვის, მაგრამ რა წამს პასუხის შოვნას შეუდგებოდი ხოლმე, და ჩემი ფიქრი მოსაზრებათა ყოველ კუთხეში მიძვრებოდა, იგი მაშინვე ბუზსავით აბლაბუდეში ებმოდა.

ერთხელ მე და ჩემი რამდენიმე ამხანაგი ყავახანაში ვისხედით და იმ ქალმა გვერდით გაგვიარა. ერთმა ამხანაგმა, იურისტმა გვითხრა, რომ ამ ქალის მამას იგი ძალით თუ ნებით შეეცდინა. ქალი მაშინ მთლად ბავშვი ყოფილა და ძნელი წარმოსადგენია, ვინ იცის, ესმოდა რასაც მაშინ სჩადიოდა თუ არა?

ამ საქმეს სასამართლოს კარამდის მიეღწია და მამა დასჯილიყო.

ისე მეჩვენა, თითქოს დაკეტილ კარებთან დიდხანს ვიდექ და მის გაღებას ამაოდ ვცდილობდი, მაგრამ ეხლა კი თავისთავად გაიღო მეთქი.

რაც კარებს უკან იყო დაფარული თვალ-წინ წარმოგიდგა; რაზედაც იმდენს ვფიქრობდი, რის გაგებაც ისე მწყუროდა. ვგრძნობდი, რომ ხელში გასაღებების მთელი კონა მეჭირა და მთელი სახლის პატრონი მე გავხდი. ამ სახლის უშორეს სამალულებში ვხედავდი, რომ ჩემ წინ თავით-ფეხებამდის ცოცხლივ გაჩეხილი ადამიანი იწვა და ამ ჭრილობაში ვხედავდი, თუ როგორ მოძრაობდა სისხლი, როგორ გადახლართულიყვნენ ტვინის აუარებელი თვლები, როგორ გარბოდა ფოსფორის ელვის მსგავსი აზრი, გარბოდა უნდობლობის შორეულ ზედაპირის ქვეშ.

ამ ქალს მეძავად ყოფნა წლობით შეეძლო და თავი სულს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა. სქესობრივი ცხოვრება უფრო ადრე ჰქონდა დაწყებული ვიდრე სქესობრივი გრძნობა თავის ჩანასახში გაიღვიძებდა. ამის მეოხებით ეს გრძნობა შიგ გულში იყო დაკრული. ამ ქალს სქესობრივი დამოკიდებულება იმისთანა კაცთან დაეწყო, რომელსაც ამგვარი ლტოლვილება განვითარებული ვეო ექნებოდა. ამის შემდეგ მისთვის სულ-ერთი იყო, თუ ვისთან დაიჭერდა საქმეს. მაშ ას: მისი სქესობრივი სიცოცხლე, მისივე არსების ნაწილი იყო, მაგრამ ეს ნაწილი ჰის არსებას ორგანიულად ვერ შეუერთდა. ამიტომ შეეძლო სამუდამოდ წმინდა ქალად დარჩენილიყო; ისე წმინდად, თითქოს ეს არის ეხლა ამოსულა წყლიდანაო, თუმცა ტალახი და სიბინძურე ყელამდის ედგა. მხამი სულის ბალღამათ მხოლოდ იმიტომ არ ექცა, რომ ეს შხამი მასზე ვერა მოქმედებდა, და ვინც მოისურვებდა, რომ ამ ქალისათვის ქვა ესროლა, იგი იმ მეფეზე ჭკვიანი არ იქნებოდა, რომელმაც—ზღვა ურჩობისათვის გაამათრახებინა. ქალი ისევე იყო დამნაშავე როგორც ზღვა.

ი. ტ—შვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის ჯუნძული. სტამბა „სორაპანი"